წელიწადი 1-ლი ტელეფონი № 76. პარასკევი 5 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი: წლით-რად. 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. თვიურათ 1 მან. და 50 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ერთ ღირს 25 კ. უკანასკნელ გვერდზე 15 კ.

ცალკე ნუმერი შვიდი ავ. ფულიანი ხელის მოწერილებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაილაგაილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. დანარჩენი სამეთვრის პირველამდე 6 მ.

ქალაქ გარეთან მიღებული განცხადების ღირს ერთი ბრ. ნამდვილად განცხადების დასაბეჭდად და ოთხიერ არა უმეტეს სამ გამოქვეყნებისა, ნახევრის ფასი.

2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ნ. მიქელაძის ს.

№ 21 ეროვნულ-დემოკრატიული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 21

შაბათს, 6 მაისს, სოფ. ვაკისუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვლილის

მისეულ (მაშა.) ბესარიონის ძე მდივნის

სულის მოსახსენებლათ; რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის დედა დესპინე ნიკოლოზის ასული, მამა ბესარიონ მიზაბეგის ძე, დები ელენე დანინო, ძმები, დავით ალექსანდრე, ვლადიმერ და სიმონი და რძლები: ნადეჟდა ილარიონის ასული, ვარ ლოტა იაკობის ასული და მამია სმირელის ასული მდივნები. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ, პანაშვიდი 11 საათზედ.

1—1

შშობლები: იოსებ პორფილის ძე და მაკრინე მჭედლიძის ასული კამაჯ მაძენი, ბიძები: ვასილ და მიხეილ კამკამიძეები, ბიცოლები: დესპინე, ფოდო, ანნადა ბიძაშვილები: არისტო, ზინაიდა, ნინა თალიკო, ლერ ვანი, თინო და ვახტანგ კამკამიძეები გულათდილ მწუხარებით აუწყებე ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლე ბლის მე 7 კლასის

სერაფიმა იოსების ასულის კამკამიძეს

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 9 მაისს ღარიბევში, სად. ბელაგორის ახლო. 1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა

1-ლი სერია 1 ლი სერია

ღამის ქალიშვილი (ავთაჯაკის ქარიშხალში)

დრამა ბოროტმოქმედთა ცხოვრებიდან 5 ნაწილად ცნობილ მსახიობის ემილის სანაწარმოი მონაწილეობით კონცერტი ვერა გამოდგა კარგი! სახუმარო ანონსი: ორშაბათიდან, 8 მაისიდან ავთაჯაკიანი ქარიშხალში მე-2 სერია ემილიო სანაწარმოს მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან სენსაციური პროგრამა

სიკვდილის ამბორი

ავანტიურისტ ქალის გმირობა. ფრიდა პორნისა და სხვა საუკეთესო მსახიობთა მონაწ. 1. მახე დაგებულია; 2. სიყვარული და ცბიერება; 3. მთავრის ჰიპნოზით შეპყრობილი. 4. უსაზღვრო გატაცება ძალის ამოსულში სახუმარო ფარსი ანონსი: ორშაბათიდან, 8 მაისიდან საუცხოო პროგრამა სიკვდილის ცეკვა ფსიხოლ. დრამა 5 ნაწილად ბ-ნ მოზგუბინის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

სატახტო ქალაქის კირჩხი ძმ. ეგიმოვებისა

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ხუთშაბათს, 4 და პარასკევს 5 მაისს გაიმართება

ბოიმორ არისტოკრატიული

წარმოდგენები გამოჩენილი მსახიობთა მონაწ. მსოფლიო საოცრების და სხვათა აზრების გამოცნობა ქ-ბნ

ლიუციას

გასტროლები. ქ-ბნ ლიუცია ყველაფერს გამოიცნობს ის მარჯვე და მოხერხებულ პასუხს იძლევა ყოველ კითხვაზე. ავრეთვე მონაწილეობას მიიღებენ საკირკო ხელოვნების საუკეთესო მსახიობნი. ქ-ბნ ლიუციას გამოსვლა 10 საათზე. დასაწყისი საღამოს 9 ნახევარ საათზე. 2—1

ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების

გოგირდის აბანოს

ს. ბეგეულსრაჭის მაზრაშიდ რომლის მუშაობა

განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფები სათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე ივანე სოხაძე.

ქუთაისის საგუბერნიო

სასურსათო კომიტეტი ამით

აცხადებს, რომ კვირას, 7 მაისს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქ. ქუთაისის სარაიონო კომიტეტების წევრთა საერთო კრება ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრთა ასარჩევად.

2—1

დღეს:

წერილები:

დ. გურული:—მიწის საკითხი.
ქართული პრესა.
გარეული:—სამი დიდი გაუგებრობა.
არ-დი:— დღევანდელი მდგომარეობა.
მიმდინარე მომენტი.
დ. მაჭავარიანი:—ლექსი.
მხედრი:—ქართ. ეკონ. ტიპიკონი.
იოსებ:—ქართ. ჯარისკ. შორის.

ცნობები:

რევოლუციის ამბები.
მსოფლიო ომი.
ზავის გარშემო.
ეროვნული კითხვა. რუსეთი. უცხოეთი.
დას. საქ. მასწ. კავშ. გარშემო.
ახალი ამბავი.

მიწის საკითხი.

(ბ-ნი ივ. გომართელის წერილის გამო).

ამას წინეთ, „ხალხის თავისუფლებიდან“ გადმოვიღეთ „ჩვენ ქვეყანაში“ (№ 15) ბ-ნი გომართელის წერილი: „ჰასუხი ორ ამხანაგს“. წერილი იმით დარჩა საინტერესო ჩვენთვის, რომ ავტორი, ლამაზი ენით და ურუეველი ლოგიკით, ასაბუთებდა, თუ რამდენათ საჭიროა ჩვენი ხალხისთვის ავტონომია. მისი აზრით, თვით სოციალ-დემოკრატიის პარტიამაც, აღრე თუ გვიან, უნდა მოითხოვოს ტერიტორიული ავტონომია.

მაგრამ ამ წერილში არის ერთი იმისთანა ადგილიც, რომელიც სხვა საკითხს ეხება და რომელსაც შევნიშნავთ ვერ დავსტოვებთ, რადგანაც იგი, ჩვენი აზრით, ჯეშმარიტებაზე ერთობ დაშორებულია.

ბ-ნი ივ. გომართელი სწერს: „ჩემი ღრმა რწმენით, ყოველი ჩვენი მუშა უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რადგანაც ეს პარტია უფრო გამოჰხატავს მუშის სულისკვეთებას, უფრო შეესაბამება მუშის მისწრაფებასო“.

მეორე საეჭვო არაა, რომ ავტორი არ გულისხმობდა აქ ქარხანაში მშრომელ მუშას, პროლეტარს, რომელსაც არა გააჩნია რა ქვეყანაზე, გარდა მარტო იმ ჭირისა, რომელსაც იგი დღიურათ იღებს კაპიტალისტიდან და რომელიც ერთადერთს საშუალებას შეადგენს მისთვის, რომ თავისთავი და თავისი ცოლ-შვილი, რამდენათაც შეიძლება, ასაზრდოოს. ბ. გომართელი ჩვენ ქვეყანაზე ლაპარაკობს და ჩვენ ქვეყანაში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, თითქმის სულ არაა ქარხნის მუშა. პროლეტარი, რომელიც ყოველ შემთხვევაში აქ იშვიათს გამონაკლისს შეადგენს. მაშასადამე, პატივცემულ ავტორს ჩვენი მესაკუთრე გლეხობა ყავდა სახეში, როდესაც იგი „ჩვენ მუშაზე“ ლაპარაკობდა.

ახლა გავარკვიოთ, რამდენათ მართალია ავტორი, როცა ამბობს, ვითომდა „სოციალ-დემოკრატიის პარტია უფრო გამოხატავს გლეხის სულისკვეთებას და მისწრაფებას“.

ჯერ გავიხსენოთ უმთავრესი დებულება პარტიის მოძღვრებისა,—გავიხსენოთ, რომ სოციალ-დემოკრატები კერძო საკუთრებას უარს ჰყოფენ. კერძო საკუთრება უნდა მოისპოსო. მაგალითებრ, მიწა ერობის ან სახელმწიფოს (რესპუბლიკის) ხელში უნდა გადავიდესო („მუნიციპალიზაცია“, „ნაციონალიზაცია“). შემდეგ ერობის თვითმართველობამ ან რესპუბლიკის მთავრობამ მთელი მამული მიწის მოიჯარედს უნდა გადასცესო. მაგრამ საკუთრებით კი არა, სიჯაროთ ან სხვა რაიმე პირობითო.

რამდენათ სანატრელია ჩვენი გლეხისთვის ის წყობილება, სადაც იგი საკუთრების მოშორდება და იჯარით მიწას მიიღებს,-ეს საკმაოთ აქვს გამორკვეული ბ. ვასილ წერეთელს თავის წერილში: „შეიძლება თუ არა მოისპოს საკუთრება მიწაზე“ (იხ. „საქართველო“, № 81). ჩვენ ამ საგანზე მეტს არ შევჩერდებით, რადგანაც თვით სოციალ-დემოკრატებიც მიწის საკითხის იჯარით მოწესრიგებაზე ჯერ კიდევ დამყარებულნი არ არიან. ამის დასამტკიცებლად ვიმოწმებ ცნობილ ეკონომისტს, პროფეს. ტუგან-ბარანოვსკის, რომელიც თავის გამოკვლევაში: „რევოლუცია და სოციალიზმი“—ასე სწერს:

„მართალია, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ფორმა სოციალიზმისა, მაგრამ სოციალ-დემოკრატები და სხვა დღევანდელი ევოლუციონიანი სოციალისტური პარტიები დღინ კოლექტივიზმის ნაცვლად.“ *)

რა არის კოლექტივიზმი?

აი რა არის. ავიღოთ, მაგალითად, საზოგადოების რომელიმე ერთეული—ოლქი ან გუბერნია. ამ ოლქს ან გუბერნიას მიეცემა მიწა და ყოველივე სამუშაო იარაღი: ბარი, სახნისი, ურემი, ფარცხი, ცხენი, ხარი და სხვა. მაგრამ საკუთრებით არ ეძლევა,—მხოლოთ სახმართალო ოლქი საერთოთ შრომობს და შრომის ნაყოფი შემდეგ ნაწილდება, იყოფა ოლქის მცხოვრებთა შორის. აქ ადვილათ შეიძლება, რომ მოსაზლის განაწილების დროს თავისი ხვედრი მიიღოს იმანაც, ვისაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია შრომაში და, შესაძლებელია, სხვა რაიმე დარგში მუშაობდა.

ეს არის მიწის კოლექტიური წარმოება.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ, როცა კოლექტიური მიწის წარმოებაა, მუშა გლეხს თავისი საკუთარი მეურნეობა არა აქვს. იმას არც მიწა ეკუთვნის, არც სამუშაო იარაღი და არც შრომის ნაყოფი, მოსავალი (трудовой продукт), რომელიც ოლქის განკარგულებაშია. იმას არც ცხენი აყავს თავისი, არც ძროხა, არც ხარი, არა აქვს არც ურემი, არც სახნისი, არა აქვს საკუთარი არც ბაღი, არც ვენახი, არც უბრალო ბოსტანი.

ნუ თუ ეს შეადგენს ჩვენი გლეხის „სულისკვეთებას“ და „მისწრაფებას“?!

პირიქით, ჩვენს გლეხს უყვარს საზოგადოთ საკუთრება და განსაკუთრებით მიწაზე საკუთრება. მას უნდა, რომ, ბევრია თუ ცოტა, თავისი მიწა ჰქონდეს, უნდა, რომ თავისი ცხენი, თავისი ხარი ყავდეს, უნდა, რომ თავისი ბაღი, თავისი ვენახი ჰქონდეს,—ერთი სიტყვით, უნდა, რომ თავის საკუთარ მეურნეობას აწარმოებდეს.

გლეხი სიამოვნობას გრძნობს, როცა დარწმუნებულია, რომ მისი შრომის ნაყოფი მის სიცოცხლეში მისივე განკარგულებაშია და შემდეგ მისი სავიდლისა მისს შვილებზე გადავა. ამით ითხუნება ის ყოველგან შემჩნეული მოვლენა, რომ გლეხი მანათობით ფულს აგროვებს და მიწას, რამდენიც შეუძლია, ყიდულობს. გადაავლეთ თვალი ნოტარიატის წიგნებს. ვინ არის მიწის გამყიდველი და ვინ—მყიდველი? გამყიდველია თავად-აზნაურობა, ყიდველი კი—გლეხობა.

ვთქვათ, გლეხს მივეცით ამნაირი წინადადება: მიიღოს საკუთრებით, მაგ., ათი ქცევა მიწა, ანდა მიიღოს ოცდაათი ქცევა, მაგრამ საკუთრებით კი არა,—იჯარით. როგორ ფიქრობთ, ამ ორ წინადადებაში რომელს მიიღებს გლეხი?

გლეხის პასუხი, მგონია, ეჭვს გარეშეა ყველასთვის. ის იტყვის: „მომეცით ათი ქცევა, ოღონდ საკუთრებით იყოს, რომ სხვა ვინმე არ შემეხოსო“.

ასეთია ჩვენი გლეხის ფსიხოლოგია. ასეთია მისი „სულისკვეთება“ და „მისწრაფება“.

აბა ახლა მოდით თქვენ და დაარწმუნეთ ვინმე, რომ „ჩვენი გლეხის სულისკვეთებას უფრო გამოხატავს სოციალ დემოკრატიული პარტია,—ის პარტია, რომელიც უარს ჰყოფს მიწაზე საკუთრებას, ესე იგი იმას, რაც მართალა გლეხის „სულისკვეთებას“ შეადგენს!

დ. გურული.

სამი დიდი გაუგებრობა ქართულ ეკლესიის კითხვაში.

პირველი გაუგებრობა.—სიამოვნებით შევიგებეთ „საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის დებულებათა“ გამოქვეყნებას (ჩვენი ქვეყანა № 18); მაგრამ, აშკარათ ვიტყვით, მეხუთე მუხლმა ძალზედ გაგვაკვირვა და არა სასიამოვნო გრძნობა დაბადა ჩვენში. აგერ ხსენებული მუხლიც: „კათალიკოს პატრიარქი აღირჩევის... ხოლო არჩევის შემდეგ, ვიდრე ეკურთხებოდეს, იგი წარდგინების დასამტკიცებლათ უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან წარდგება.“

ჩვენ ვეკითხებით მცოდნეებს: სახელმწიფო მთავრობამ როდის მოიპოვა თურადღება უფლება, რომ დაემტკიცებინა უმაღლესი მწყემსმთავარი? მართალია, ისტორიაში მოსჩანს, მეფე-იმპერატორები ხშირათ სარგებლობდენ ამნაირი უფლებით, ჩვენი ქართველი მეფეებიც ცნობილ იქცენ, გარნა, ეს თურადღება, კანონიერი უფლება კი არ იყო, არამედ უზენაესი ხელისუფლების, სხვისა უფლების წაგდება, ცნობილი ცეზარიზმი. ჩვენის მხრით დიდი შეცთომა იქნება, თუ ეკლესიის საფუძველშივე, ამისთანა უხამსობას ჩავატანებთ... სარწმუნოება კიდევ პოლიტიკის იარაღად გადიქცევა... და კიდევ იმ სიმწარეში ჩავვარდებით, რომლისგანაც, ესოდენის გაჭირვებით ვცდილობთ დაგმოსვლას...

ქრისტიანობის დამფუძნებელიც,—იესოს მოძღვრებაში, ერთის სიტყვისაც ვერ შეხვდებით, რომ გულისხმობდეს ეროვნულ მთავრობას თავისი საკუთარი თავსამტკიცე კითხვებიც საკმაოთ მოპოვება, ზედმეტი ბარგით ნუ დავუმძიმებთ ისედაც უხომოთ მძიმე ტვირთსა. ამის შესახებ ხალხსა თავისი ძღვენი ჰხმა უნდა გააგონოს სადაც ჯერ არს.

მეორე გაუგებრობა.—ავტოკეფალიის კითხვაზე მოგახსენებთ: ეროვნული უნდა იყოს იგი თუ ტერიტორიული? ყოველ მხრივ სამართლიანი პროტესტები ისმის ეროვნულ ავტოკეფალიის წინააღმდეგ. სჩანდეს, ეკლესია ამსჯ უფლებებით უნდა სარგებლობდეს, რაიც სარგებლობს და ისარგებლებს რუსეთის ეკლესია. უკეთუ სურთ,

*) ბაზს ყოველგან ჩვენ უსვამთ.

დ. გ-

საქართველოს ეკლესია ეროვნული იყოს, მაშინ რუსეთის ეკლესიაც ეროვნულად უნდა დაკანონდეს, ე. ი. ვინც ქართველები, ბერძნები, ბულგარელები და სხვა მართლმადიდებელნი ცხოვრობენ რუსეთის ხალხის ტერიტორიაზე, ისინიც გამოყოფილნი უნდა იყვნენ რუსულ ეკლესიის უფლებისაგან,—როგორ მოეწონებათ ეს პეტროგრადის მესვეურებს და სწავლულ ბენედიქტებს??? ჰო და! რაც რომ არ გინდა შენ დაგემართოს, იმას ნურც სხვას დამართებო, ნათქვამია.

შესაძლებელია. ჩვენი ეკლესიის მამულებს შეეხება. ჩვენთვის გაუგებარი რჩება დროებითი მთავრობის სინუმე ამ კითხვაზე, აქნობამდე იმედი უნდა მოგვქონდა, რომ მახლობელი მომავალში, საქართველოს დაუბრუნდება თავისი საკუთრებაო; სინუმე კი ძალიანებურათ მწარე ფიქრებს გიღვიძებს.

ჩვენ, ქართველები, ვაცხადებთ ცისა და ქვეყნის წინაშე: ჩვენი ეკლესია თხოულობს თავის სპეციალურ ქონებას, შიდასა, ანუ და სარგებელსაც. ძველმა მთავრობამ უკანონოდ ჩამოართვა,—უკანონობა იგი უნდა გამოსწორდეს. ამას თხოულობს თვითმყოფელი ქართველი, ამიტომაც, ჩვენი აზრით, მისაღები არ არის „დებულებათა“ მე-10 პუნქტის შემდეგი შენიშვნა: „ხაზინაში გადასულ საეკლესიო ქონებათაგის, საქართველოს ეკლესია დამაკმაყოფილებულ უნდა იყოს იმ სახით, რომ შემდეგ შეშფოთების მოსვრობის მორის საერთაშორისო შეთანხმებით“.

ბატონებო, აქ შეთანხმება კი არ უნდა იყოს, არამედ კატეგორიული განცხადება, რომ: საქართველოს ეკლესია თხოულობს ჩამორთმეულ ქონებას, სრულიად: თავსაც და სარგებელსაც, უკანასკნელ ჯერამდე. უნდა დაგვიბრუნდეს იქვრაის წმინდა ქონება, შიდასა, გამოუკლებლივ; აქ მარტო მთემატიკური ანგარიშია საჭირო და არა პოლიტიკური შეთანხმება!..

ეს არის ხმა ხალხისა, ძლიერი და სამართლიანი, რომელიც უსათუოთ დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს.

გარიყული.

მიმდინარე მომენტი

„დენ“ ის მე № 34-ში საინტერესო წერილი არის მოთავსებული. გაზეთს ნაადრევად მიაჩნია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს რევოლუცია უსისხლოა. რაც ამ მოკლე ხანში გაკეთდა, დიადია თვისი მნიშვნელობით და წარსულის სავსებით მოტრიალება შეუძლებელია, როგორც სახე არ მიიღოს აწ უკვე ახალ ფაზისში შესულმა რევოლუციამ. მაგრამ რევოლუციის მიერ მოპოვებული ჯერ კიდევ გამაგრებული და ჩაკირული არ არის, გამაძლეველი სრული არა გვაქვს, ამიტომ, სწერს გაზეთი: „სანამ წინასწარ ჯამს შეუყენებდეთ ჯერ მიმდინარე და დაუსრულებელ პროცესს რევოლუციისას, უკეთესი იქნება ჩაუკვირდეთ და ჩაუფიქრდეთ იმას რაც გარშემო ხდება. საქმის ვითარება კი შიშის მომგვრელია. სასურსათო არეკვ დარევა, სიძვირე, თან და თან რომ მატულობს, ფინანსიური სიძნელენი და სხვა კრიზები უდგანან ჩვენს რევოლუციას“.

ამათ მოწესრიგების მავიერად ჩვენ ვხედავთ სოციალურ ძალთა გათიშვას, მათს სრულს წინააღმდეგობას. „ცალკე ერებიც, ცალკე კლასებიც, ცალკე პროფესიებიც, ცალკე ჯგუფებიც—პირველ საკითხად შეუდრეკელად აყენებენ თავიანთ კერძო მიზნებს და აყენებენ სრულის უფლებით. (ხაზგასმა ჩვენია) ცარიზმი იმოდნად შეუბრალებლად და უაზროდ უხუთავდა სულს მცხოვრებლებს-მის მიერ არეულ პირთა და ჯგუფთა გამონაკლისით ისეთი მძიმე ლოდივით აწვა გულზე მთელს სახელმწიფოს, რომ მოიფერთხა თუ არა რევოლუციამ ესენი, პირველად ყოვლისა ყველამ ამოსუნთქვა მოინდომა, მოხრილი წელის გამართვა, ყველამ თავის თავზე ფიქრი, საკუთარ დაჩაგვრაზე და საჭიროებებზე ლაპარაკი დაიწყო. ასეთი ბოლმა ბლომად იყო დაგროვილი ეროვნულად აჭრელებულ რუსეთში. მართლაც ძნელია მათზე გაიზუებები, არა ყვირილი მაშინ, როდესაც გაიხსნა გზა სიტყვის თავისუფლებისა მოხდა ასე, თითქოს დიდმა ტალღამ გაარღვია და დაშალა ტიე და ამ ტიეს ყოველმა ნაწილმა თავთავისაკენ გაიწია, თავთავისი მოთხოვნილებანი წამოაყენა. ყველა ასეთ მოვლენებს „დენი“ ნორმალურად სთვლის მას შემდეგ, რაც თვითპყრობელობამ ყველას სული შეუხუთა, მაგრამ განაგრძობს გაზეთი, „ამ ჯგუფების სამართლიანმა მოთხოვნილებებმა მთლიანად ჩაახრჩეს უდიდესი კოლექტივის რევოლუციური რუსეთის ხმა.“ ამაზე ნაკლებს ფიქრობენ. ყველაფრისდა მიუხედავათ რევოლუციამ ვერ შესავალ პარტიკულარიზმის პსიქოლოგია. იქითაკენ გაწევ- გამოწვევა ასუსტებს საქმეს.

„საკმარისია გადვიხედოთ დასავლეთით. გნებავს მოკ. ევროპებისაენ, გნებავს ტრანსკავკასიენ—რათა დარწმუნდეთ, როგორი კოლოსალური ძალაა მთლიანი ერთიანი ერთად განსჯველა, მისი გრძნობით გაგება.“ ჩვენი სოლიდარობა არ სცილდება ვიწრო წრისა თუ ჯგუფის სოლიდარობას. გაზეთის აზრით „ფრაქციული მიდრეკილება უფრო ძლიერია პარტიულზე და ამის და მიხედვით ჩვენ ვართ ფრაქციონერები პარტიისა, სამშობლოისა, რევოლუციისა, ეროვნებისა და თვით ინტერნაციონალობისაც. სხვათა შორის ეგრე რიგად გავრცელებული პაციფისტური სულისკვეთებაც კი, როგორც ბევრი ინუგეშებს თავს, ინტერნაციონალიზმის სიჭარბით კი არ აიხსნება, არამედ პატრიოტიზმის ნაკლებობით.“ გაზეთი მიიცა და მიიც ოპტიმისტურად შეჰყურებს რუსეთის მომავალს იმ მდგომარეობისდა მიხედვით, რომელიც დღეს სუფევს.

დღევანდელი მდგომარეობა.

მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე საამაოდ გარკვეულად ილაპარაკეს მდგომარე მომენტის შესახებ. ორატორების სიტყვიდან ნათლად გამოსჭვივოდა, რომ დროებითი მთავრობა სრულ გადადგომის წინაშეა სდგას. ეს გასაგები იყო აწ უკვე გადამდგარ მინისტრ გუჩკოვის სიტყვიდანაც. ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ და მეუკიდურესეთა აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. პეტროგრადის ამბებმა დასთვლეს დროებითი მთავრობის დღეები. დღეს-დღეობით ლენინ გამოჯანსაღებული დარჩება. პეტროგრადელ „რეჩი“-ს გადმოცემით 20 აპრილს მომხდარი ამბები ლენინის მუშაობით იყო წარმოშობილი. ლენინელებმა შესძლეს მშრომელ ხალხის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება. დღეს მშრომელი მასა კრიჭაში ჩაუდგა დროებითს მთავრობას იმ მოსაზრებით, რომ იგი ფართე ხალხის მისწრაფების გამომხატველი არ იყო. დღეს პეტროგრადი რამდენიმე სიმტკრა ბანაკად გაიყოფა. ბურჟუაზია თავს დამცირებულად იგრძნობს და პრძოლას შეუდგება. ამ რიგად მოსალოდნელია, რომ მშრომელი მასა და ბურჟუაზია, რომელნიც რევოლუციის პირველ ღღეებში ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოდნენ. დღეს ერთმანეთს დაუპირდაპირდეს. ცხადია რევოლუციურ ძალთა ასეთი გათიშვა დიდ საფრთხეს განუმზადებს რუსეთს... თუ ქვეყანას განსაკუთრებული ენერგიის ადამიანები არ მოეყენენ მხსნელებად. უკიდურესი მისწრაფებანი რევოლუციას ინაცვალებენ. მომენტი მეტად რთულია, მდგომარეობა ძნელი.

რევოლუციაში ახალი პერიოდი იწყება ბუმბერაზი რუსეთი დუღილს განაგრძობს, რომელ დუღილშიც სახელმწიფოს გა ნახლებაც შეუძლიან და დაღუპვაც...

ირ-დი

რევოლუციის ამბები

ვ. დ. ს.

სამხანასტრის გადადგომის შესახებ.

პეტროგრადი. 2 მაისი. 11 საათის ნახევარზე გაიხსნა სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებისა. სხდომის გახსნამდის გამოირკვა, რომ მაღალ. უფლების და სხვა სახალხო თავისუფლებას ხელყოფის წარმომადგენლების გადადგომა ნაწილმა თავთავისაკენ გაიწევს, თავთავისი მოთხოვნილებანი წამოაყენა. ყველა ასეთ მოვლენებს „დენი“ ნორმალურად სთვლის მას შემდეგ, რაც თვითპყრობელობამ ყველას სული შეუხუთა, მაგრამ განაგრძობს გაზეთი, „ამ ჯგუფების სამართლიანმა მოთხოვნილებებმა მთლიანად ჩაახრჩეს უდიდესი კოლექტივის რევოლუციური რუსეთის ხმა.“ ამაზე ნაკლებს ფიქრობენ. ყველაფრისდა მიუხედავათ რევოლუციამ ვერ შესავალ პარტიკულარიზმის პსიქოლოგია. იქითაკენ გაწევ- გამოწვევა ასუსტებს საქმეს.

„საკმარისია გადვიხედოთ დასავლეთით. გნებავს მოკ. ევროპებისაენ, გნებავს ტრანსკავკასიენ—რათა დარწმუნდეთ, როგორი კოლოსალური ძალაა მთლიანი ერთიანი ერთად განსჯველა, მისი გრძნობით გაგება.“ ჩვენი სოლიდარობა არ სცილდება ვიწრო წრისა თუ ჯგუფის სოლიდარობას. გაზეთის აზრით „ფრაქციული მიდრეკილება უფრო ძლიერია პარტიულზე და ამის და მიხედვით ჩვენ ვართ ფრაქციონერები პარტიისა, სამშობლოისა, რევოლუციისა, ეროვნებისა და თვით ინტერნაციონალობისაც. სხვათა შორის ეგრე რიგად გავრცელებული პაციფისტური სულისკვეთებაც კი, როგორც ბევრი ინუგეშებს თავს, ინტერნაციონალიზმის სიჭარბით კი არ აიხსნება, არამედ პატრიოტიზმის ნაკლებობით.“ გაზეთი მიიცა და მიიც ოპტიმისტურად

სტუდენტების ჯარში გაწვევა.

პეტროგრადი. 1 მაისი. განათლების მინისტრმა საჭიროდ სცნო 1916 წლის 31 იანვრის კანონით ჯარში გაწვეულ ის სტუდენტები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1898 წელში.

სტაროობრიადცების ვიდღობა.

მოსკოვი. 1 მაისი. გაიხსნა სტაროობრიადცების ყრილობა. დაესწრო 150 დელეგატი. ყრილობამ საჭიროდ სცნო სრულიად რუსეთის რელიგიურ-პოლიტიკური კავშირის დაარსება, რომელიც რელიგიურ კულტურულ დამოუკიდებლობას უნდა ემსახურებოდეს. ყრილობამ ბოცილეველ საჭიროებად აღიარა ზავის ჩამოგდების ხელი შეწყოს.

ესტონეთის პოდგება.

რეველი. 1 მაისი. ესტონელების ნაციონალური პოლკების გამოყოფამ უსიამოვნება გამოიწვია სხვა და სხვა ეროვნებათა შორის ჯარში. ამის გამო მოითხოვენ ესტონელების პოლკების დაშლას, ვინაიდგან ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატები არა სასურველად სცნობენ. ჯარის ეროვნების მიხედვით დარაზმვას.

უწესობანი.

დონის როსტოვი. 1 მაისი. ქალაქის განაპირა ადგილებში მძარცველი ჯარის კაცები თავს დაესხენ მილიონერებს. დაჭრეს ორი ჯარისკაცი. მძარცველთა ერთი რაზმი მიიმალა.

ფრანგეთად დელეგატების ჩამოსვლა.

სევასტოპოლი. 1 მაისი. ჩამოვიდენ ფრონტის დელეგატები. რათა შეეიმოწმე ბიათ შავი ზღვის ფლოტის საგარნიზონო საქმეთა მუშაობის მიმდინარეობა. დელეგატები დარწმუნდნენ, რომ საქმე კარგად არის დაყენებული შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა ენერგიული მუშაობით.

მოსკოვი. ცნობათა ცრილობა. 2 მაისი ცნობათა ყრილობაზე ორის კითხვის შესახებ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: „რაც შეიძლება ხალი შეუწყონ ხელი ჩამოვდენას. საჭიროა მშრომელნი ხალხმა ირიმან სახელმწიფოების მოსახოვნად თავიანთ მთავრობებს, რომ იქაც ჭანაველს უთანხმოებას და უკონტროლოებას დასასრულ ყრილობა ყველა ქვეყნის სოციალისტებს ზავისაკენ მოუწოდებს.

სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭო.

პეტროგრადი. 2 მაისი, სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭო გაიხსნება 4 მაისს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომა.

პეტროგრადი. 1 მაისი. ჩეიძის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა მუშათა და ჯარის კაცთა წარმომადგენლებისა. სხდომაზე განხილულ იქნა კითხვა დროებითი მთავრობის მოქმედების შესახებ. სხდომაზე მოვიდა იუსტიციის მინისტრი კერენსკი, რომელმაც დამსწრენი გააცნო მიღინარე საქმის ვითარებას. კერენსკის მოხსენების შემდეგ ხმის უმეტესობით, (41 ხმით 19-ის წინააღმდეგ) დაადგინეს დროებით მთავრობის შემადგენლობაში სოციალისტებიც შევიდენ.

ბუჩკოვის გადადგომის შესახებ.

პეტროგრადი. 1 მაისი. სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა გუჩკოვის გადადგომის შესახებ სხდომა მოახდინა. თავმჯდომარეობდა როძიანკო. სხდომაზე გადასწყვეტ მდგომარეობის გამოსაკეთებლად სამინისტროში მონაწილეობა მიიღონ სოციალისტებმაც.

უწმინდესი სინოდის დადგენილება

პეტროგრადი. 29 აპრილი. სინოდის დადგენილებით ახლო მომავალში მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენლთა ყრილობა მოწენტით გამოწვეულ სხვა და სხვა კითხვების მოსაწესრიგებლად.

ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა

პეტროგრადი. 1 მაისი. ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობაზე 30 აპრილს გუჩკოვმა, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა სუხომლინოვისა და კომისარიატის [illegible] რომელმაც დაღუპვის კარამდის მიიყვანეს რუსეთიო. ძველი მთავრობის დამღუპველმა პოლიტიკამ იმდენად წაახდინა საქმე, რომ მისი გამოკეთება ძნდს ენერგიასა და შრომას მოითხოვსო.

მიმართვა ყველა ქვეყნის სოციალისტებისადმი.

პეტროგრადი. 1 მაისი. რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია მიმართავს ყველა ქვეყნის სოციალისტებს, რათა ხელი შეუწყონ ზავის ჩამოგდებას. რუსეთის დემოკრატია აღნიშნავს იგრეთვე, რომ მას

* * *

გაზაფხულობით სიყვარულში,
ვარდ-ვაყვავილდები; —
და ზაფხულობით სიყვარულის
ცეცხლად ვიწვები; —
საშემოდგომოთ სიყვარულის
ფოთლებად ვსკკნები;
ზამთრობით კიდევ სიყვარულში
ვჭალარავდები...

ლადო მაჭავარიანი.

ქართული ციპიკონი.

ქართველ კათოლიკეებში უძველეს დროიდან დღევანდლამდე.

(გაგრძელება).

7. ქართულ-კათოლიკური მონასტრები, სამრევლოები და ეპარქიები.—

გასულ წერილით მკითხველი დარწმუნებოდა, რომ მშობლიურ ტიპიკონს მოდამ ჰყოლია მიმდევრები ქართველ კათოლიკეებში; შეიძლება იფიქრონ, შემთხვევით კერძო პიროვნებანი თუ იქნებოდნენ მიწერილი ქართულ ტიპიკონზეო,—კერძო პიროვნებანი კი არა, მონასტრებიც, სამრევლოებიც და ეპარქიებიც არსებობდ. მონასტრები.—1) თავდაპირველათ უნდა დავსახელოთ, ათონის მონასტერი „ივირონი“, რომელიც მე-13 საუკუნის ნახევრამდე საუკეთესო განწყობილებაში იმყოფებოდა ლათინის ბენედიქტელ ბერმონაზვნებთან. ლათინებისა და ქართველების მონასტერი ერთი მეორეზე ახმოლ იყო; ერთსაც და მეორესაც დიდათ ტრამბონში, ცნობილი გაკათოლიკებული საბა სულხან ორბელიანი იყო (გვ. 317). აქაური ბერმონაზვნები 1757 წელსაც კი კათოლიკეებათ იხსენებენ (გვ. 373).

5) იმერეთშიც ყოფილა ერთი მონასტერი, რომელსაც კათოლიკე სტეფანე წინამძღვრობდა 1751 წლიდან (გვ. 366); 1757 წელსაც წმ. ვასილის კათოლიკე ბერები ყოფილან იქ (გვ. 372). იმ დროში, იმერეთის კათალიკოსი ბესაროიონ, იმერეთის მეფე ალექსანდრე 5 და რაჭის ერისთავი როსტომი კათოლიკეები ყოფილან.

6) ანტონ კათალიკოსის დროსა (1754) მრავალ მონაზონებსაც მიუღია კათოლიკობა, გარნა არ ვიცით, სახელდობრ რომელ მონასტრებს ეკუთნოდენ. გვ. (372).

ქართულ-კათოლიკურ ტიპიკონის სამრევლოები.

1) მე-14 საუკუნეში მრავალრიცხოვან სამღვდელოების მიუღია კათოლიკობა; მოძღვრების რასაკვირველია, მრეველიც გაჰყოლიბოდა, მით უმეტეს რომ ტიპიკონის გამოცვლა აღარ დასჭირდებოდათ, რა კი თავიანთი პირვანდელივე ღვდლები ეყოლებოდათ (გვ. 37). 2) ჭ. თფილისის სამრევლო.—1687 წელს, ჩამოთვლილი არიან შემდეგი კათოლიკენი, ქართულ ტიპიკონის მიმდევარნი, თამაზა, სამხედროს გენერალი... სულხან (საბა ორბელიანი)... გიორგი დიდებაშვილი, მისი მეუღლე ეთერა და დედა მისი მინგული, ზუკესი (სახელია), მისი დედა თამარ, და დები: ანნა, ხანუმი, შანუბანი და მარიამი ქარდენ მოშორნე და გაუტანელი ბერძნები; ეს გარემოება აიძულებდა პირველებს მტკიცე კავშირი შეეკრათ ერთმანეთში.

2) რკონის მონასტერი, საქართველოში; ამ მონასტრის 1253 წლის სიგელში, პაპიც არის მოხსენებული (გვ. 6), რაც იმის თავდებია, რომ იქაური ბერ-მონაზნები კათოლიკეები იყვნენ და ეროვნულ ტიპიკონს მისდევდენ.

3) შიო მღვიმის მონასტერი: მისი 1250-1260 წლების სიგელი კიდევ იხსენებს რომ ის ღვდელმთავარს (გვ. 6), აქვე შევნიშნავთ, რომ ანგარიშში არ ვიგდებთ იმ მონასტრებს, რომლების კათოლიკობა მტკიცდება 1234 წ-დე რადგან ჩვენ უცილობელ ფაქტათ მიგვაჩნია რომ 1234-დე მთელი საქართველო დაკავშირებული იყო რომის ტახტთან; ამნაირ მონასტრებს შორის თამარაშენი ასახელებს: გელათს, ცხირეთ-ცხავერს და სხ. (გვ. 6).

4) იყსე ნათლისმცემლის მონასტერი: მისი ხანგრძლივი წინაძძვართ მე-18 საუკუნეში, ცნობილი გაკათოლიკებული საბა სულხან ორბელიანი იყო (გვ. 317). აქაური ბერმონაზნები 1757 წელსაც კი კათოლიკეებათ იხსენებენ (გვ. 373).

5) იმერეთშიც ყოფილა ერთი მონასტერი, რომელსაც კათოლიკე სტეფანე წინამძღვრობდა 1751 წლიდან (გვ. 366); 1757 წელსაც წმ. ვასილის კათოლიკე ბერები ყოფილან იქ (გვ. 372). იმ დროში, იმერეთის კათალიკოსი ბესაროიონ, იმერეთის მეფე ალექსანდრე 5 და რაჭის ერისთავი როსტომი კათოლიკეები ყოფილან.

6) ანტონ კათალიკოსის დროსა (1754) მრავალ მონაზონებსაც მიუღია კათოლიკობა, გარნა არ ვიცით, სახელდობრ რომელ მონასტრებს ეკუთნოდენ. გვ. (372).

ქართულ-კათოლიკურ ტიპიკონის სამრევლოები.

1) მე-14 საუკუნეში მრავალრიცხოვან სამღვდელოების მიუღია კათოლიკობა; მოძღვრების რასაკვირველია, მრეველიც გაჰყოლიბოდა, მით უმეტეს რომ ტიპიკონის გამოცვლა აღარ დასჭირდებოდათ, რა კი თავიანთი პირვანდელივე ღვდლები ეყოლებოდათ (გვ. 37). 2) ჭ. თფილისის სამრევლო.—1687 წელს, ჩამოთვლილი არიან შემდეგი კათოლიკენი, ქართულ ტიპიკონის მიმდევარნი, თამაზა, სამხედროს გენერალი... სულხან (საბა ორბელიანი)... გიორგი დიდებაშვილი, მისი მეუღლე ეთერა და დედა მისი მინგული, ზუკესი (სახელია), მისი დედა თამარ, და დები: ანნა, ხანუმი, შანუბანი და მარიამი ქარ-

თველები; გიორგი მადლოს შვილი, მისი მეუღლე და მეუღლის დ...“ (გვ. 262). ესენი ახლით გაკათოლიკებული ყოფილან და ქართულ ტიპიკონზე დარჩენილან; ეს სხვათა შორის იქიდანაც მოსჩანს, რომ მისიონერები ქართველებს ეძახ.ან,-რაც მაშინდელ გამოთქმით, ტიპიკონის მიმდევრობას ნიშნავსესეც რომ არ იყოს, „მაგე წერილში ერთი ფრაზაა მოყვანილი, რომელიც ყოველივე ეჭვს ჰფანტავს: „ეგრეთვე არიან, სხვა სახლები და ოჯახები დასთანის წესისა, რომლებიც სხვა არც ერთს დღედაც დებარებიან თუ არ მისიონერებს: ხაინღუ რაშვილები სტეფანე, იოსები, ფრანცისკე და ნინო, რომელნიც უპირველეს კათოლიკეებში ირიცხებიან“ (გვ. 263, გულისხმობენ, რომ სხვა მრავალი ოჯახებიც ყოფილა, რომელნიც ლათინის მისიონერებს კი არ ეკვედლებოდენ, არა მედ „სხვა ღვდელს“ ე. ი. ქართულ ტიპიკონის მიმდევარს. ამისათანა ღვდელი თბილისში გამოკვლევიც მოიპოვებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, მართლმადიდებელ სამღვდელოებას განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა კათოლიკობისადმი; მაგ: 1690, ახლათ გაკათოლიკებულ ბარძიმ ერისთავს მრავალი ღვდელი შემოუერთებია (გვ. 278). თბილისის ქართული სამრევლო უფრო გაფართოვდა სამას (ორბელიანის) მეცადინეობით; 1773 წლის სამუთში ნათქვამია, რომ მან გააკათოლიკა თავისი მეტად მრავალ-რიცხოვანი ოჯახობაო (გვ. 347). ჩვენ ვფიქრობთ, რომ თბილისის და საზოგადოთ სხვა ქართულ სამრევლოებს ბოლო მოუღო 1775 წლის დეკემბ, როდესაც ანტონ კათალიკოსი გადაიყენეს გაკათოლიკებისათვის, და დანარჩენი მღვდლებიც იძულებული ჰყვეს ქვეყნებინათ ლათინობა. მართალია, მრევლს უფრო პატივით 1) არ გაუჩერეს, არც თავიანთი ტიპიკონისა. და არც ლათინურის, ხოლო თეიმურაზმა 1760 წ. სომხის ღვდელი მოიწვია ახალ ციხიდან! (გ. 375). მერმე, კაპუცინები (მისიონერების) რომ დაბრუნდენ თბილისში, და შინებულობა ხალხმა ვეღარ გამოიჩინა, რომ ის ქართულ ტიპიკონის მომხრეა.

3) ჯავახეთის სამრეველო (სამეგრელოში): მისი მოძღვარი „ვერჩილი“ გაკათოლიკებულა 1642 წელს (გვ. 187); წინეთ დიდი ტბერი ყოფილა მისიონერებისა. სამეგრელოში მრავალი სამრეველო უნდა ყოფილიყო, რადგან იქ კათოლიკეობა რიცხვი მრავლისგან უმრავლესი ყოფილა მე-18 საუკუნეში. (გვ 188).

4) ჯეგრაგის სამრეველო, მოხსენებულია 1747 წელს; პავლე ასლანიშვილი ამ სამრევლოდან ყოფილა (გვ. 421). ამას რომის სასწავლებელში მიუღია განათლება, მაგრამ მისიონერების დავალებით სომხის ტიპიკონზე უკუთხიათ. მეტი ცნობა არ გვაქვს აწყვრის სამრეველოზე.

5) ანის სამრეველო. 1751—1753 წელში ონის მცხოვრებნი გაუკათოლიკებიათ

1) კარბელაშვილი, კათალიკოსნი, გვ. 155; თამარაშ. გ. 375

არ სურს ვისმე რამე წაართვას. რა მიზანი უნდა ჰქონდეს ჩვენს დაპყრობითი პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, როცა სამართლიანობა მოითხოვს ასეთ პოლიტიკაზე დემოკრატიამ ხელი აიღოსო.

მუშების მოთხოვნილება.

ჰელსინგფორსი. 1 მაისი. ტორნეოდან იუწყებიან სოციალისტიური ფირმების მუშათა გაფიცვის შესახებ. ხსენებულმა მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ფირმების მეპატრონეებს შრომის ფასის მომატებისა და ხელმძღვანელების შეცვლის შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელი მონობის პრინციპს ემყარებიან და მუშების მტრებათ ითვლებიანო.

უცხოეთი.

ამერიკის სოციალისტები.

ნიუიორკი. 30 აპრილი. ამერიკის გამოჩენილ სოციალისტების ჯგუფმა სტოკჰოლმისა, კოპენჰაგენისა, ჰაგისა, და ბერნის სოციალისტებს გაუგზავნა შემდეგი განცხადება: მთელი ქვეყნის დემოკრატია იარაღს არ დაჰყრის და მანამ განაგრძობს გერმანელებთან ბრძოლას, სანამ არ დამხობა ჰოჰენცოლერნთა დინასტიაო.

ომი და ამერიკა.

ვაშინგტონი. 30 აპრილი. წითელი ჯვრის ახალი შენობის გახსნის დღეს ამერიკის პრეზიდენტმა ვილსონმა განაცხადა: ჩვენ მისთვის ჩავერიეთ ომში, რომ სამართალი გაეწიოთ კაცობრიობას, რადგან ღრმად გვწამს პრინციპი რომელზედაც აგებულია შეერთებულ შტატების სახელმწიფოებრივი წყობილებაო.

მსოფლიო ომი.

(ჰ. დ. ს.)

კავკასიის ახპარეზი.

პეტროგრადი. 2 მაისი. ოფიციალი. კელერ-კამის რაიონში, ამბეშოანასა და ერძინჯანის სამხრეთით ჩვენ კონტრ-იერიშები მივიტანეთ ქურთთა რაზმების წინააღმდეგ და უკუ ვაქციეთ, დავიბრუნეთ წინა დღით ქურთების მიერ წართმეული თხრილები.

რუმინეთის ახპარეზი.

პეტროგრადი. 2 მაისი. ოფიციალი. რუმინეთის ახპარეზზე სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

მესოპოტამიაში.

პეტროგრადი. 2 მაისი. ოფიციალი მდ. დიალეს რაიონში და შეიხსაიდის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

მფრინავთა მოქმედება.

რიგა. 1 მაისი. ოფიციალი. მთელს ახპარეზზე გრძელდება ორივე მხრიდან ინტენსიური საჰაერო მოქმედება ჩვენმა თვით მფრინავთა ესკადრამ მოახდინა მტერზე თავდასხმა ჩამოგდო 7 ფუთამდი ამფეთქებელი ნივთიერება. მრავალს ადგილებში ორბელიანებს. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ესენი ქართულ ტიპიკონზე დარჩებოდენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი გამაკათოლიკებელი ორბელიანები დიდი მოძხრე იყვნენ ქართული ტიპიკონისა, და ამის გარდა სამი მონაზონიც ყოფილა მოქცეული; ესენი უთუოდ მონაწილეობას მიიღებდენ მათ მოყვლა პატრო ნობაში-მაშინ ონში 35 სული ყოფილა, თუ დავუჯერებთ იმ დროინდელ ცნობებს (გ. 367) აქ კაპუცინებმა მონასტერიც კი გახსნეს: ადგილი როსტომ ერისთავს უჩუქებია, ასამენებელი ხარჯიც-ბასვე გაუღია (გვ. 380); მაგრამ ბერძნებს გამოუდევნებიათ. 1753 წელს(373 გვ.) თურმე ქრისტანტინეპოლის პატრიარქი ყოველ წლივ ორ მონაზონს გზავნიდა, თან მოწყალების მოსაკრებელით და თან მისიონერების გასადევნელოთ! თავისი სისასტიკით სახელი გაითქვა ბერძნის მონაზონმა აკაკიებულით.!.. 1767 წელს, ხელმეორეთ მოუწევიათ პატრები. იქ წასულა ძმა დიონისი ფლორენციელი, რომელსაც (გვ. 385) პირქუშ აკაკიუელს გულიც კი მოუბრალებია მით, რომ მძიმე ავადმყოფობიდან გაუკურნავს... მაგრამ კვლავ ტრაგედიით დამთავრდა ონის საქმეები: ძმა დიონისიოს იმერლებს უწყალოდ მოუკლავთ ონიდან ჩიშლიანის გზაზე 2)

6) გორას სამრევლოს იხსენიებს პ. იოსებ მოდენელი 1756 წელს „ამ დამდე გორში მყოფი კათოლიკენი არიან 100, გარნა სხვა კიდევ რავდენიმე გაფანტული არიან აქა-იქ სოფელში. როდესაც გზაში უშიშრობა და რომელსამე ქარავანს გავლა შეუძლია, მისიონერები მიდიან მათ სანახავად, სწვრთნიან და საიდუმლოებას უსრულებენ. თითქმის ყველა ეს კათოლიკენი, გორში, თუ მის გარე მყოფნი, ვრას ქართული ტომებისა და მის თანად ცხოვრობენ. თუმცა ცოტანი არიან და ყველაფერში მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ კი კათოლიკენი არიან და ყველაფერში ემორჩილებიან თავიანთ სულიერ მმართველს“ (გვ. 370). ეს იმ დროს იყო, როდესაც თეიმურაზმა არც ერთი ქართველი ტიპიკონის მღვდელი გაუშვა, გორისთვისაც ახალციხიდან მოდიოდა სომხის მღვდელი. 1767 წელს ერეკლე მეფის თხოვნითვე, პატრი გიორგი მოდის ერის საშველად. გორისა და მეტადრე ახლომახლო მდებარე სოფლების მრევლის დიდხანს შეუნარჩუნებია ქართული ტიპიკონი, რაც აშკარათ მოჩანს გორის ეკლესიის წიგნებიდან: ხშირათ ნათლიებიან მეუღლეები იხსენებიან კათოლიკეებათ (იგულისხმე: ქართული ტიპიკონის მქონეთ). მაგ: დათუნა, ძალანთი, ლეკა სიდამონიძე, მამეკა ნინიაშვილი და სხვა მრავალნი. 3)

ესლა გორელებში ხსოვნაც კი აღარ არის დარჩენილი, რომ მათი მახლობელი წინაპრები ქართულ-კათოლიკური ტაბაკონის მიმდევრები ყოფილან!..

7) ხაზისბაგნა-ხერთვის-ბარჯეთის სამრევლო: ამათ კათოლიკობა უნდა მიეღოთ 1757 წლის წინეთ, ამ წლამდე კი მათ ჩვენს მფრინავებს უხდებოდათ გერმანელების ჰაეროპლანებთან ბრძოლა. ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა.

ახალი ამბავი

◆ **ღვთით მოვაჭრეთა შეკრება.** მაზრის კომისარმა ბ-ნმა ბერძულმა აღმასრულებელ კომიტეტში ჩა რადგინა თხოვნა ზესტაფონის მცხოვრებთა, რომელნიც ითხოვდენ ეკრძო პირებზე ღვინის გაყიდვის ნებართვას. თუ ღვინის გაყიდვის ნებართვა შესაძლებელი არ იქნება, ზესტაფონელები თხოვ ლობენ ერთ-დროულ სესხის მიცემას. აღმასრულებელმა კომიტეტმა ზესტაფო ნის მცხოვრებთ შეატყობინა, რომ ღვი ნის გაყიდვა აკრძალულია, ხოლო რაც შეეხება, ამ საგანზე მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ ხაზინას, რაზეც მათ მხარს დაუჭერს აღმასრულებელი კომიტეტი.

◆ **სურსათის გაზიდვის აკრძალვა.** კარგა ხანია, რაც აღმასრულებელმა კომიტეტმა აკრძალა ქუთაისიდან სხვადასხვა სანოვაგის გაზიდვა, მაგრამ ზოგიერთები მაინც თავისას არ იშლიან და ქალა ქიდან სანოვაგეს ჩუმად ეზიდებიან. აღმა სრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მკაცრი ყურადღება მიაქციოს სადგურზე ამ საქმეს და შეიპყროს ყველა ის ვინც მა ლულად სანოვაგის გაზიდვას აწარმოებს, ხოლო ჩამორთმეული სანოვაგე სასურსათო კომიტეტს გადასცეს.

◆ **სასურსათო კომიტეტს** აღმასრუ ლებელმა კომიტეტმა ოლდენბურგის ქუ ჩაზე სამი ოთახი დაუთმო.

◆ **ქუთაისის ძარცულ გიმნაზიაში** უკვე დამთავრდა კლასიდან კლასში გა დასაყვანი ნიშნების შემოწმება დეპუტატ გორაბერიის თანადასწრებით. ცნობები მერვე კლასის შესახებ ოლქში გაიგზავნა.

◆ ქ. ქუთაისის საყურადღებოთ. ქუ თაისის სანგვარნაო სისურსათო კომიტეტები ამით საყოველთაოთ აცნობებს, რომ ამი ერიდან მწვანე ბაზარში ყოფილ კურჩიბა მევის შენობაში იქნება გახსნილი ქალაქის სავსნო, სადაც როგორც მსხვილი ოთხ ფეხების აგრეთვე ხბოს ხორცი იყიდება დაწესებულ ნიხრის მიხედვით 50 კ.გირვანქა

◆ **დაიკარგა** სინოდალური მეტრიკა და აცრის მოწმობა ნინო კოხრეიძისა ძველი თბილისისა და ოლდენბურგის ქუჩათა შო რის. მნახველს უმორჩილესად ვთხოვთ გადმოგვცეს შემდეგი მისამართით: ძველი თბილისის ქუჩა ალავიძის სახლი ბ-ცობა ძეს.

◆ **სასწავლებლებში.** წელს ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში 7 კლასი დაასრულეს და სიმწიფის მოწმობა მიიღეს შემდეგმა პირებმა: აბაშიძე ეკატე რინე, ადამია ნინო, ალტუნაძი ტერეზა, ბელკინიხა ანა, გაჩეჩილაძე ვერა, გვინ ჩიძე ელენე, დოღობერიძე ლიდია დათე ბაშვილი მარიამ, დოლიძე მარიამ, ჯინო რიძე ილარიონიდა, ჯანუაშვილი, ჟღენტი ნინო, კანდელაკი ელისაბედი. ქილბაქია ნი ვენერა, კაკაბაძე ვერა, კანდელაკი ნა დეჟდა, კედია ეკატერინე, კრასოვსკაია ოლღა, ალიხანოვი ვერა, ლიხანოვი მა რიამ, ლორთქიფანიძე ალექსანდრა, მიქა ბერიძე მარიამი, პელო გორხვეკისა, მოდე ბაძე ნინო, მაჭავარიანი ელენე, მესხი თა მარა, ნიკოლაძე ეკატერინე, ნაკაშიძე მარი ამი, ნაზარაიი თამარი, ნიგარაძე ლიუბა, ფიჩხაძე სარა, რევინისა ტასო, სვანძე ელენე, სოროპოევსკი თამარა, ტერჯუბრე ლიანი შუშანიკა, ტერეგეთაზარიანი სორუნ თუთაშვილი ვერა, ხარაზიძე ეკატერინე, ხაცავა მარიამი, ხეჩინოვი, ხოკეევნაშვილი თამარ, წერეთელი ოლღა, წულუკიძე მა რგარიტა, ჩაჩავა ნინო, ჩაჩიბაია ბარბალე, ჭაჭურია თამარ წერეთელი, ელენე, ცხა კაია ქსენია, ჭეიშვილი ნინო, ჭიპინაძე ანნა შარაპანოვი ვერა საკანდელიძე მარიამი.

პრომენცია.

◆ **ფოთი.** წელს ფოთის ქალთა გიმნაზია დაასრულეს შემდეგმა ქართველმა ქალებმა:

ლუბა ფანცხავა, მარო ახობაძე, თამარ გუგუშვილი, იულიანე გიორგობიანი, ნინო ჯაიანი, დორა ქუშელავა, პელო კილურაძე, დომინიკა ჭორქია, ანა რუხაძე, სონა უშვერიძე, მარო ხოფერია და ქიეონა კონსტანტინოვი.

◆ **სადგ. რიონი** 2 მაისს სადგ. რიონზე საპონლის მატარებელი დეეჯახა ორთქლმავალს და 8 ვაგონი დაიმსხვრა ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **უბედური შემთხვევა.** სადგ. სვირი 4 მაისს ახლად გიმნაზიაი დამთავრებულ ძმ. ნიკოლაშვილებს რევოლვერი გაუვარდათ და ორივენი მძიმეთ დაიჭრენ. დაჭრილები ქუთაისის ქალაქის საავად მყოფოში ჩამოიყვანეს.

◆ **სოფ. მუხურში.** ყვირას, 7 მაისს, მუხურის სამინისტრო სკოლის შენობაში წოვიათხავს ლექციას ბიკენტი ახესაძე შემდეგ თემაზე: 1) დროებითი მთავრობა, 2) დემოკრატიული რესპუბლიკა, 3) ერის ნაციონალური თვითგამორკვევა და საქართველოს ავტონომია. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი, თუ მსურ ველები იქნებიან. ლექცია უფასოა.

დასავლეთ საქართველოს

სახალხო მასწავლებელთა კავშირის გარშემო.

სამშაბათს, 2 მაისს შეიკრიბა მთავარი გამგეობა და იქონია მსჯელობა სხვა და სხვა საკითხზე: გამგეობამ განიხილა, ამხთაქთაქშიშილის სახელზე გამოგზავნილი თბილისის გუბ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარის მოწოდება, ქუთაისში არსებული სამი კავშირის გამგეობისა დმი: „სახალხო მკოლების“, „სამეგალო სასწავლებელთა“ და „დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა“. ბათომში არსებულ კავშირებთან ერთად, შეკრე ბულიყენენ ქ. ქუთაისში საერთო მუშაობის მწყობა და ორი გაკათოლიკებული მღვდელი; მერმე დარჩენილან უმღვდლოთ; ახალციხიდან მიდიოდა ჰღვდელი წელიწადში სამჯერ (429), 1664 კი საკუთა რი მღვდელი ენიშნებათ სრულიად ტიპიკონის; 1666 წელს ქ. ხიზაბავრაში 176 კათოლიკე ოჯახია, ამათ რიცხვში 24 ლათინის ტიპიკონისა (გვ. 435), ტბეთა და იდგილობრივ ღვდელთა სიკვდილის შემდეგ, 24 მართმადიდებელი მოუკლავთ და ლათინის ტიპიკონზე ჩაუწერიათ. ხერთვისისა და ბარალეთში შვიდ-შვიდი კომლი ყოფილა... ეხლა ხიზაბავრელებს სიზმრათაც კი არ მოუხმანებათ, რომ 160 წლის წინეთ მათი წინაპარნი ქართულ-კათოლიკურ ტაბაკონს მისდევდენ!

8) ჯორიას (ბათომის ოლქში) ჰატარა სამრევლო: 1771 წელს იხსენებს იქ რავდენიმე გაკათოლიკებული თავად-აზნაური. (გვ. 394) საუთარი მღვდელი არ ჰყოლიათ, ახალციხის პატრები უწევდენ მზრუნველობას.

9) ახალციხის სამრევლო: პატრი ჯეროლამო იწერება 1763 წელს, რომ ახალციხეში ბერძნის ტიპიკონის მქონე სამხ. ქართველს მიუდია კათოლიკობა, ერთი მთელი მღვდელი ყოფილა (გვ. 381), რომ წესიერად დაყენებული სამრევლო არსებობდა, ეს ვიცით პროპაგანდის წერილიდან (1802 წ.), რომლითაც მღვდელს შაჰპულიანს იგავლებს, ორი ყმაწვილის გაგზავნას ჭ. რომში, რათა იქ შეისწავლონ ბერძნულ-ქართული ტაბაკონი და მერე ახალციხისა და ველის სამრევლოებს შეუარონ (გვ. 486–488).

მხედარი.

(შემდეგი იქნება.)

გეგმის შესადგენათ და შეკრების ნაციონალიზაციის საკითხის მოსავლელებლათ. ამას თანავე ამხ. ბურჯანაძე მოითხოვდა ქუთაისში არსებულ კავშირიდან დაენიშნათ დრო, იდგილი და შესხდგომოდენ მზადებას... გამგეობამ მიიღო მხედველობაში მომავალში ახლო მოსალოდნელი სრულიად კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა ქ. თბილისში, რომელზე დაც გადასწყვეტდა ბევრი საგულისხმო კითხვა და საჭიროა სათანადო მომზადება. ამისათვის ჩვენმა გამგეობამ თხოვა ვ. ბუ რჯანაძეს, თუ შესაძლოთ დაინახოს დანი შნოს ეს კრება 10 მაისს და ამასთანავე აცნობოს ბათომში ამხანაგებსაც.

ალ. ბერეკაშვილის ასული.

ქართველ ჯარისკაცთა შორის.

ბრძოლის ველიდან.

არავისთვის ყოფილა ისე აუტანელი ძველი, უცხო ეროვნებათა გადაგვარებაზედ დაშყარებული, წესწყობილება, როგორც ქართველ ჯარის კაცისათვის. ისტორიულად მამაცს, ღალბუნებაზედ აღზრდილს, ქართველ ჯარისკაცს, თუნდაც თვის ენაზე დიდად შეგნებულს, მხოლოდ რუსულის არ მცოდნეს, ბრძანების გაუგებრობის გამო, არა ერთხელ მიუღია შეურაცხყოფა. უცხავის თუთიყუშივით გაუგებრად ზეპირობისათვის ბევრჯერ დალურჯებია ბეჭები თოფს ქვეშ დგომით. სახდ-ში ბარათის მიწერაც კი ვერ მოუხერხებია „რიგს გარეშე“ მუშაობასა თუ სხვათა მოსამსახურეობაში უმეტესად სასჯელი ელეოდა იმისთვის, რომ სხვა ენაზე ჭიკჭიკს ვერ ახერხებდა ან და პირველ ხანებში შაპლორჟი „направо“-ს მაგიერ „кругомъ“ შემოჰბრიალდებოდა. რამდენჯერ როტის უფროსს მოსწონებია მისი სიყოჩაღე-სიცქვიტე და თითქოს გულდასაკლავად უთქვამს: „ენა რომ იცოდე, სამოწყალო რაზმში გაგზავნიდი ან ჯარისკაცთა უფროსობას მოგციმდიო“. ამას თავი დავანებოთ. ზოგიერთთა უფროსის ხელში, მიუხედავად საერთო მტრის წინააღმდეგ თავდადებისა, წარჩინების ღირსი არ გაუხდია და მის მაგიერ თავისიანი დაუწინაურებია ჯარის თუ სხვა საჭარის მისაღებად!... ყოველი ეს საკმარისი იყო, ქართველ ჯარისკაცს სულსა და გულში ღრმად გასჯდომოდა ბუნებრივი გრძნობა ეროვნულ სიყვარულისა. თვითთოეულ ქართველ ჯარისკაცს კარგად ახსოვს სიმწარე უმგვანო სისტემისა. ნეტარ მოველინებულ საერთო თავისუფლების ძალით, როცა შემთხვევა მჭრდა №-ის მსროლელთა პოლკში ქართველ ჯარისკაცთათვის მომეყარა თავი და საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის პროგრამაში განმემარტა: ჯარისკაცები აღტაცებაში მოვიდენ. თავი თითქოს ფანტასტიურ ქვეყანაში წარმოიდგინეს. გაიმძა სიხარულის ხმა: „მეშვიდე წელიწადია ვმსახურებთ და ამდენსავე კიდევ ვიმსახურებთ, ნეტავ ეკ ეგრე მოწყობილ საქართველოს ცხოვრებას მოვეწერებოდეთო“. „მშა ავსტრიის საზღვარზე მომაკლეს, ჩემი თავიც ჯანდაბას, ამ ომისთვის შემიწირავს, ოღონდ „ჩემს შემდგომ მომძმეს ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ და თვითმართველობით მოწყობილ საქართველოს ვეღირსოთო“. დასძინა ერთმა ჯარისკაცმა. „ეჰ, რას ბრძანებ, ბატონო, რაც ჩვენ სამხედრო სამსახურში ჩაგვრა და დაცინვა აგვიტანია, ზოგი თქვენც კარგად მოგეხსენებათ“, დაუმატა ზრდილობიანმა იმერელმა.

დიდი წასიამოვნები დაიშალენ იმ თხოვნით, რომ შემდეგში კიდევ მომეკლათ ან ცოცხალი მაღლიშვილთა საყურადღებო წერილები წამეკითხა. ხშირად არიან ჯარისკაცები ნაღვლიანად და მომმართავენ ხოლმე: „ხომ არაფერი გაგიგიათ სამშობლოს შესახებ, ვაი თუ არ მოგვცენ თვითმართველობაო“.

მაგრამ არა, შორს იქვიანობას დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ არსებობს ქვეყანად და მით უმეტეს თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთში, სამართლიანობა, ქართველთა ამ საშინელ ომში და 1905 წლის რევოლუციაში გმირული თავდადება მხოლოდ პოლიტიკურ ავტონომიით გამოისყიდება.

ა.ოდა.

ზაფხულის გარშემო.

„რუსკაია ვოლიას“ კორესპონდენტს უსა უბრნია ჰოლანდიის სოც. დემოკრ პარტიის ლიდერ ტრულსტრასთან, რომელსაც უთქვამს:

სეპარატიული ზავი ჩვენ წარმოუდგენელად მიგვაჩნია. ასეთი ცალმხრივი ზავი ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს.

თუ ინგლისელები და ფრანგები უარს აცხადებენ კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ, ეს არასფერია ბედს სულ სხვა რიგად დაკავშირებენ ერთმანეთს. უთუოდ ეძებენ გზას, რათა ამ ომის ცრემლისმა მომხრეებს, უმრავლესობას დაეხმარონ. ინგლისელებიც მარტოობის გზას არ ირჩევენ და ჩვენ მოგვეცილებიან.

ევროპა მოისაზრებს, რომ სისხლის ღვრა სრულიად უაზრო რამ არის. ყოველმხრივი განადგურება ისეთ „კაცენ-იამბერს“ გამოიწვევს ისეთ ცოდვილ გუნებაზედ დააყენებს რომ ყველას დაეკარგება ჩხუბის ხალისი.

გერმანელები უფსკრულის პირზე სდგანან და ავსტრო-ჰუნგრელები კი სულ ზავზე ბედავენ მეფდნენ დაწყებული მწყემსით გათავებული. გერმანელებმა იციან, რომ ომის გაგრძელება შეთანხმების სახელმწიფოებს მიანიჭებს გამარჯვებას, ამიტომ ზავს არ ეწინააღმდეგებიან,

გერმანელებს ისევე შეუძლიანთ ჰოლანდიის განადგურება, როგორც რუმინეთისა.

ხსენებულ გაზეთის კარესპონდენტს ისეთი შთაბეჭდილება გამოუტანია ამ საუბრიდან, თითქოს, ყველა ნეიტრალ სახელმწიფოების სოციალისტებს უმთავრესად ის ანტერესებს რომ თავის ქვეყანას აცდინონ თავიდან ომი.

ზავი და ავსტრო-ჰუნგრეთი. ავსტრო-ჰუნგრეთის ზავისაკენ მოდრეკილების გამო, ვენაში წასულა ბავარიის პრემიერ-მინისტრი ჰერტლინგი. ამის გამო მიუნხენის გაზეთი სწერს: „ეჭვის გარეშეა, რომ ავსტრიის სპპატიო ზავი სურს ხოლო შეთანხმების სახელმწიფონი სცდებიან, თუ ფიქრობენ, თითქოს ავსტრიას სურდეს ძალა დაატანოს გერმანეთს ნაადრევი ზავი ჩამოაგდოს. ცენტრალ სახელმწიფოთა ბედრთა და ეკონომიური მდგომარეობა მეტის მეტად სანუგეშოა და ამიტომ არც მოისწრაფის ის ასეთი ნაბიჯის გადასად გმელად თუ მაინცა და მაინც მოკავშირენი ოკიუტებენ და შეუდრეკელნი დარჩებიან ჩვენს გასანადგურებლად, მაშინ როგორც ვენაში, ისე ბერლინში მზად არიან იბრძოლონ შემდეგშიც, რათა მახვილით შეასრულონ ის, რასაც ვერც ხელი გონების მოსაზრებითა და ვერც ადამიანობით მიაღწიეს“.

ევროპის შეერთებული შტატები.

იუსტიციის მინისტრი ა. ლ. კერენსკის მოუვიდა შეეკიდან სკანდინაველ ქალთაგან განცხადება საყოველთაო ზავის ჩამოგდების შესახებ. განცხადებაში სწერია: „არც უნდა გაიმარჯვოს ვინმემ და არც უნდა დამარცხდეს ვინმე. საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარება შეიძლება მხოლოდ ევროპის შეერთებულ შტატების დაარსებით. ეს ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ყველა მხარესა და ყველერს ხალხთა სურვილებისამებრ დამყარებულ მკვიდრ ბატონობასა და სახელურებს მისცემს, მისცემს თავისუფალ ოკეანეთ, საერთაშორისო სახლეთ მიმოსვლას და საერთაშორისო სახლურებს. ევროპის პოლიცია ყოველგვარი საფრთხისაგან დაგვიცავს. ამ შეერთებული ევროპის შტატე ბის საერთო დანიშნულება იქნება: ადამი ანების საკეთილდეოდ ყოველივე იმის აღდგენა რაც უხამხამხარმა ევროპიელ მა კონფლიქტმა დაარღვია. ასეთი შტატები ერთად ერთი თავდები იქნება იმისა, რომ მომავალში ზავი დაურღვეველი და მუდმივი იქნება“. ო. ასე თავებენ თავის განცხადებას კერენსკისადმი სკანდინავიის ასულნი.

ხმები.

პეტროგრადში მოსული ცნობების მიხედვით, ამხტერდამის ბირჟაზე გავრცელებულა ხმები, თითქოს გერმანეთის მთავრობა სპეპარატიულ ზავის წინადადებას წარდგენას უპირობებს რუსეთს, რომლის ძალითაც დაცულ იქნება: პოლონეთის სრული ავტონომია, სტამბოლის საერთაშორისო ქალაქად გამოცხადება, რუსეთ-ავსტრიის ტერიტორიების ევაკუაცია და რუსეთის პროტექტორატი სომხეთზე. იმა საც გადმოგვცემენ, თითქოს რუსეთის სასახლეს ერთ წევრისადმი მოწერილ კაიზერის ბარათი დაეპარათ.

ბუდაპეშტში 1 მაისის დღესასწაულის დროს მოლაპარაკე ორატორებმა მოითხოვეს უკომპრომისო საერთაშორისო ზავი,

საერთაშორისო სამედიცინო სასამართლოს დაწესება, ბაირაღის აყრა და საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია, ამავე მოთხოვნილებათ წამოაყენებენ სტოკჰოლმში ჩუნგარეთის დელეგატები.

ერთგულთა კითხვა

უცხოეთის მოსრობა.

კიევში შესდგა არაჩეულებრივი ყრილობა მხედართა და მუშათა საბჭოების დეპუტატებისა, რომელთაც დიდი ხნის ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს წინააღმდეგ უკრაინელთა პოლკების შედგენას.

უკრაინელთა მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენცია.

პედაგოგიურ მუზეუმის შენობაში, კიევში, გაიხსნა უკრაინელ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენცია. ჩამოვიდა დელეგატები პეტროგრადისა, ტომსკისა, ეკატერინოსლავისა, ხარკოვისა, როსტოვისა და სხვა ქალაქების უკრაინელებისაგან კონფერენცია რამოდენიმე დღეს გასტანს. გასარჩევია შემდეგი კითხვები:

1) მოწყობა უკრაინელ მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციისა,

2) დამოკიდებულება რუსეთთან,

3) დამოკიდებულება გალიციასთან და სხვა.

პოლონეთი და უკრაინა.

გაზ. „რენი“ ეხება პოლონეთის მომავალ სახელმწიფოებას და სხვათა შორის სწერს:

„როდესაც განვიხილეთ პოლონეთის მომავალ სახელმწიფოს კითხვა სრულიად უყურადღებოდ დავგეშრა ნაწილი უკრაინისა რომელიც გეოგრაფიულ მოსახლეობის მიხედვით მომავალი პოლონეთის მიწა წყალთან არის შეერთებული. უკრაინელთა ინტერესები პოლონეთის სამეფოს აღდგენის შემდგომ ვერ იქნებიან შეუსახელი და უზრუნველ ყოფილნი. ავსტრო-გერმანელები თავის აქტში (პოლონეთის შესახებ უსამართლოდ სწყვეტენ უკრაინის კითხვას. განსვენებული ფრანც-იოსები თუმც მომხრე იყო გალიციის აღმონომიისა, მაგრამ ამას მხარს არ უჭერდა რეიხსრატი.

დღეს კი პოლონელთა კოლომ გალიცია თავის სახელმწიფოს ფარგლებში მოაქცია, რისთვისაც მას არც იურიდიული და არც მორალური უფლება ჰქონდა. ისეთი ოლქები როგორიც არის „სტარაია რუსა“, „რუსკ ვოეუოდ“, უდარესი უსამართლობა იქნება. რომ პოლონეთის სამფლობელოში შევიდეს.

საქმე ის კი არ არის, ვის რა სურს, არამედ ის, რომ არავითი ინტერესები იქნეს უსამართლოდ შელახული. პოლონეთმა უნდა შეიგნოს, რომ მის ფარგლებში უკრაინის მოსახლეობის მოქცევა ვერაფერი სამართლიანობაა. ამ კითხვაზე პროტესტს აცხადებენ გალიციის უკრაინელები და მოითხოვენ, რომ გალიცია ცალკე ავტონომიურ სავმებელო ერთეულად იქნეს გამოყოფილი.

ამას მოითხოვს ერთი თავისუფლების პრინციპიც. უკრაინის ყველა იმ ნაწილები რომელიც ამჟამად პოლონეთის სამფოს საზღვრებში მოჰყვენ, უსათუოდ ცალკე ავტონომიურ უფლებებით უნდა აღიპურვონ. მხოლოდ ასეთ ზომას შეუძლიან ყოველ მეზობლური განწყობილება შექმნას ამ ორ ერთა შორის. თორემ რა ფასი ექნება იმას, რომ ერთი მონობისგან განთავისუფლდეს და მეორე თვითონ დაიმონოს“.

პოლონელები.

მინსკი. 23 აპრილი. პოლონელ ჯარის ყრილობის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია პოლონელ ჯარის შესახებ: უეჭველად უნდა შესდგეს პოლონური ჯარი, მაგრამ ამ საქმეს მთლად პოლონელობა უნდა ხელმძღვანელობდეს და არა ცალკე პიროვნებანი. ფიცრობაც უეჭველად პოლონელები იყვნენ. ამასთანავე პოლონელთა ჯარი რუსის მთავარსარდალს უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ სტრატეგიულის მხრით და უნდა აბრძოლონ მხოლოდ ავსტრია-გერმანიის ფრონტზე.

კურლანდელთა ყრილობა.

სახელმწ. სათათბიროს წევრების გონდამინის და ბალიტის თაოსნობით 21 აპრილისათვის დორპატში მოწვეულია კურლანდიის გუბერნიის მცხოვრებთა წარმომადგენლების ყრილობა.

განსახილველია საკითხები კურლანდიის მომავალ წესწყობილების შესახებ. ყრილობაზე მთელი კურლანდიის დროებით მართველობის არჩევაა განზრახული.

პოლონეთის კონსტიტუციის წლის თავი

პოლონეთის კონსტიტუციის წლისთავის შესრულების გამო 20 აპრილს მინსკში შესდგა გრანდიოზული მანიფესტაცია რამოდენიმე ათიათასი მანიფესტანტების მონაწილეობით, ყველას გულს ამშვენებდა პოლონეთის სახელმწიფოს განთავისუფლებისა და აღორძინების ნიშნები. ყველას ეჭირა ხელში ეროვნული დროშა. მანიფესტაციებში მაურავდე მონაწილეობას იღებდნენ პოლონელი ჯარის კაცები და ოფიცრები, ბესტრიელი ტყვე პოლონელებიც კი. მრავალ რიცხოვან მიტინგის მთავარი ლოზუნგი იყო გაერთიანება დანაწილებულ პოლონეთისა.

უკრაინელთა პოლკი.

უკრაინელთა პოლკი 18 აპრილს შედგა. პოლკს შემდეგი სახელი ეწოდება: „გეტმან ბოგდან ხმელნიცკის სახელობის პირველი უკრაინის პოლკი“

პოლკში დაახლოებით 5,000 კაცი ითვლება. სარდლათ არჩეულია ბაჰიროფელთა მემკვიდრე დ. მ. პუშნაკოვ გრებენიუკი. არჩეულია თორმეტი კაცისაგან შემდგარი საბჭო. პოლკმა შემდეგი ლოზუნგი მიიღო „ომი პოლონელთ უკრაინის დროშების ქვეშ“ გადგზავნა სალამი დროებით მთავრობას, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებს, რუსეთის ჯარის, პოლონელთა ლეგიონებს და მოკავშირეთა ჯარებს.

პოლკი ბანაკში გასასვლელათ ემზადება. უკრაინის ცენტრალური რადა უარყოფს იმ ხმებს თითქოს იგი იღებდა მონაწილეობას ამ პოლკის მოწყობაში.

რუსეთი.

გლეხთა ყრილობები.

სამაზრო გლეხთა ყრილობამ ვასილსურსკში სხვათა შორის შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: არ იქნეს დაშვებული ტყეების თვითნებური გაჩეხვა; მაზრებიდან გამოტანილი შეშა დაუბარკოლებლივ მიდიოდეს დანიშნულებისამებრ; გამოარკვიონ სოფლო კომიტეტებმა ადგილობრივ მცხოვრებთათვის საჭირო შეშის რაოდენობა და ყველა დეზერტირები დაჭერილ იქნეს და სამხედრო უფროსს წარედგინოს.

—

მინსკში გაიხსნა გლეხთა ყრილობა დასწრო 800 დელეგატი. გასარჩევია საკითხები შესახებ: ომისა და ზავისა, ეროვნული კითხვისა მთავრობასთან დამოკიდებულებისა, გლეხთა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისა, კოოპერაციისა, ლტოლვილთა საკითხისა, ადგილობრივ. თვითმმართველობებში გლეხობის მონაწილეობისა, სასურსათო კითხვებისა, სადგომულო და უფლებრივ მდგომარეობისა.

რექტორის გადაყენება

ნოვოროსიის უნივერსიტეტის რექტორი მემარჯვენე პროფ. კიშენსკი მისი თხოვნის მიხედვით გადაყენებულ იქნა სამსახურიდან

ნიჟნი ფეხსაცმელებზე.

21 აპრილს პეტროგრადში გაიხსნა ფეხსაცმელების გამყიდველთ მსხვილი ამერიკული სავაჭროები. ეს იმიტომ მოხდა, რომ გამოკვეყნდა ახალი საგრძნობლად აწეული ნიხრი ფეხსაცმელებზე. სანამ ძველი ნიხრი არსებობდა, ე. ი. ვიდრე განმავლობაში ეს მაღაზიები დახურული იყო. ახალი ნიხრის მიხედვით ამერიკელებს საშუალება მიეცათ გაცილებით უფრო ძვირად გაჰყიდონ ის საქონელი, რომელიც მათ შარშან ძალიან იაფად შეიძინეს.

საძმო სასაფლაოს მოწყობა.

ხუროთმოძღვართა და მხატვართა საზოგადოება მარსის ველზე საძმო სასაფლაოს მოწყობის პროექტის კონკურს აცხადებს. უკანასკნელი ვადა პროექტის წარსადგენად დანიშნულია 1917 წლის 10 მაისი.

მანიფესტაციები პეტროგრადში

21 აპრილს მთელი დღის განმავლობაში ნევის პროსპექტზე დადიოდა ავტომობილები ჯარის კაცებით ოფიცრებით და სტუდენტებით. ყველა მათგანი მოწუდებდა ხალხს, მხარი მიეცით დროებით მთავრობასო და განუმარტავდა, თუ რა ბებერობა შეიძლება მოჰყვეს შინაურ დეზორგანიზაციას. მოწუდება ხალხში დიდ თანაგრძნობას პოულობდა.

განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ხალხში ბოლშევიკთა გამოსვლა, რომელნიც შეიარაღებულიყვენ ვინმე ტოვკინით. მათ მიმართ ყვირილი გაისმოდა:

— სირცხვილი თქვენ, სირცხვილი. მანიფესტაციებზე იარაღით გამოძღებართ! ძირს „ლენინელებიო“.!

უცხოეთი.

გერმანიასა და ბულგარეთის დელეგატება სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანეთის სოციალ-დემოკრატებმა სტოკჰოლმის კონფერენციაზე გასაგზავნათ შემდეგი დელეგატები ამოირჩიეს:

პარლამენტის ფრაქციიდან დაყოდა, ნოსკე და გრაფ ბაუერა; საპროფესიო კავშირებიდან ლეგიენი და ბაუერი; მემარცხენე სოციალ-დემოკრატები გზავნან გაზეთი, **დეველეგატებს დაბარნენ შტეინს.**

ბულგარეთიდან კონფერენციას ესწრება: სამი ზაკაზოვის და სამიც ბლაგოევის ფრაქციიდან.

უნგრეთის სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი კონფერენციას დესწრებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებენ იმის გარანტიას, რომ უნგრეთში შემოღებულ იქნება საყოველთაო და თანასწორი არჩევნების უფლება.

დიპლომატის კანონაუსუფლებას მოათხოვებენ.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ, როგორც ხმები დადის, სოციალისტურ კონფერენციის მომწყობთა შორის დაიბადა აზრი, ყოველივე ძალა იხმარონ და მოითხოვონ ლიბკნეხტის განთავისუფლება.

გაუსმენისის ზრახი.

ბელგეთის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ლიდერმა და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მდივანმა კამილ გიუსმანსმა სტოკჰოლმის გაზეთების წარმომადგენელებს განუცხადა, რომ ის წევრები საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსი, რომლებიც სტოკჰოლმში მოიყრის თავს, დარჩებიან იქ, სანამ ზავი არ ჩამოვარდება. გიუსმანსი იმედს გამოსთქვამს, რომ ბელგიელები და ინგლისელები ამოგზავნიან თავის დელეგატებს კონფერენციაზე, ვინაიდან მისი მიზანია არა „კერძო მანენთთან“ ზავი, არამედ მთელ ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდების ხელი შეუწყოს.

„უკანასკნელი ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ ვინაიდან საფრანგეთიდან დელეგატთა გაგზავნის კითხვა მომავალ ნაციონალურ კონგრესსზე უნდა გაირჩეს, შესაძლებელია კონფერენცია 10 მაისისათვის გადაიდოს.

ვანდერველდე და კონფერენცია.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს წარმომადგენელი და ბელგეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერი ვანდერ ველდე უარს ამბობს სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციაზე წარმომადგენლის გაგზავნაზე. ვანდერველდეს აზრით დღევანდელ მდგომარეობისათვის ამას არაფერი ღირებულება არ აქვს.

ხალგაზდა ოსმალები.

9 მაისს (ახ. სტ.) სტამბოლის პარლამენტში განიხილეს ახალგაზდა ოსმალთა პარტიის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით ოსმალეთის სახელმწიფოს გამგებლობა უნდა მოეწყოს წმინდა ევროპიულ საფუძველზე.

ამერიკის რიგი.

ინგლისის თემთა პალატაში კითხვა აღიძრა, თუ რა რიგი დაბრძანების გაწევა შეუძლია ამერიკის რესპუბლიკას მომდინარე ომში მისტერი სესილი ამბობდა, რომ ამერიკა რეალურად შეთანხმების სახელმწიფოებს დაეხმარება მხოლოდ ფულით და გემებითა.

ჩინდენბურგის ფონდი.

გერმანეთში შესდგა ცალკე კომიტეტი, რომელიც ჰინდენბურგის სახელობის ფონდს აძლიერებს. ჰინდენბურგის ფონდიდან დახმარება ეძლევათ ღარიბ ჯარის კაცებს.

გოლჭევმის განცხადება.

ვილჰელმს ფელდმარშალ ჰინდენბურგისთვის უთქვამს: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ომი ამ სამ თვეში გათავდება. მარწმუნ ისიც, რომ გერმანეთის ხალხი უცხო იდეალებს არ ანატკენებს საყვარელ სამშობლოს ინტერესებსო.“

ახალი მინისტრები ჰუნგრეთში.

„პეშტერ ლლოიდ“-ს ბუდაპეშტიდან ატყობინებენ, რომ გრაფმა ტისამ მინისტრთა პორტფელები შეაძლია კონსტიტუციურ პარტიის ორ წევრს: გრაფ ესთერგაზის და გრაფ სტეფ. ბეტლენს. პირველს ეთხოვა უთავოს იმ სამინისტროს, რომელიც ზავის ჩამოგდების შემდეგ სახელმწიფოს ნორმალ კალაპოტში ჩაყენებას შეუდგება, ხოლო მეორეს — სემიგრადიის აღდგენის სამინისტროს. პასუხი ჯერ არც ერთისგან მიღებულა. ორივენი უცდიან გრაფ ანდრაშის ვენიდან დაბრუნებას, რომელთანაც მოლაპარაკების გაჭართას აპირებენ.

რუსეთის ვისხა ამერაგაში.

ამერიკაში რუსეთის თავისუფლების სესხის საქმე დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ვაშინგტონიდან 4 სარკინიგზო საქმეების სპეციალისტები დანიშნა, რომელნიც გაუძღვებიან წინ რუსეთში მიმავალ ამერიკულ მისიას. მათ შორის იმყოფება ჯან სტეფენსი, პანამის არხი რომ გააკეთა.

ავსტრო-გერმანელთა მოქმედების გაძლიერება.

ფრონტიდან ჟურნალისტის მისული ოფიცრები იტყობინებიან, რომ ამ ბოლო ხანებში ავსტრო-გერმანელებმა გაძლიერებული მოქმედება დაიწყეს.

ავებენ სანგრების ახალ-ახალ წყებებს, ასწორებენ ძველებს, ხის საფრების მაგიერ ქვისას აშენებენ და სხვა.

სასურსათო ზომები.

მინისტრთა საბჭომ პარიზში მოიწონა ვიალეტის მიერ წამოყენებული სასურსათო ზომები ფქვილის ეკონომიისათვის საკარტოდ 27 აპრილიდან საბოლოოდ უნდა დაიბეჭდოს. ხორბლის დაფქვა უნდა გაძლირდეს 85 %-ით. გამოიცემა განსაკუთრებული დადგენილებანი, ფქვილის უპზრო ხარჯვის შესამცირებლად.

მუშების მეფხიზლე მიმართვა.

ჰუნგრეთის მუშებმა 20 აპრილს ერთ საათიანი გაფიცვა მოახდინეს და სამხედრო კომენდანტს სთხოვეს, გადასცეს მეფეს მათი კატეგორიული მოთხოვნილება, რომლის ძალითაც მათი საარჩევნო უფლებები გაფართოებულ უნდა იქნეს.

სპარსეთის გასაშარა.

შაჰის მთავრობამ ინგლის-რუსეთს თხოვნით მიმართა, რათა მიეცეს სპარსეთს სესხად 100 სპარსული გირვანქა ვერცხლი. სპარსეთს ეს ფული სჭირდება სახელმწიფოს სხვა და სხვა თანამდებობის პირთა დასაკმაყოფილებლად. სალხალანამბა (პრემიერი) კაბინეტს მოახსენა წარადგინა, რომ სპარსეთი ნივთიერად მეტად უნეგმო მდგომარეობაში იმყოფება, რომ მთელი სპარსეთის შემოსავლიანი ადგილები უცხოელ მოჯარადრეთა ხელშია. მულაკმუშ სთქვა: „სპარსეთს ფეხზე წამოდგომად რამდენიმე 10 წელიწადი მაინც დასჭირდება. მე სპარსეთის ფეხზე დაყენებად და შემწეებად ავიყვან მინანილეთ.“

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. ყიფიანი

ერეკლეს ფარმაცევტიული ინსტიტუტის ექიმები:
ბ. ი. გოგიაური ფიზიკური და სანიტარული ექიმი
ავთმყოფთათვის. ავთმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. სკკუთარი ს. 7 თ.

ა. ვ. ხახათინი ლეგულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავთმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინის და ბალახვნის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარკოძევი ქალაქის სავაჭმყოფოს ორდინატორი. იღებს ქალს, ვენერიულ და სიფილისიან ავთმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დღეთა 12½—2 სახა. სალამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საკმინო ვარჯიშობით. ესპობ სახეზე: მუწუკებს, ნოკუბებს, ჯორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავთმყოფობებს, ამასთან ვუქარ ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და ვპრეფეც **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წესლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავთმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოტაკის სახლი № 17.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 8 ს. წ.
„ — საღამ. — 8 ს. 50 „
ბათომიდან — დღისით — 12 ს. 40 „
„ — ღამის — 1 ს. „
ფოთიდან — დილის — 10 ს. 26 „
ტყიბულიდან — საღამოს — 6 ს. 50 „
ხაშურიდან — დილის — 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის 11 ს. „
„ — ღამის — 11 ს. 34 „
ბათომისაკენ — საღამოს — 7 ს. 5 „
„ — დილის — 7 ს. „
ფოთისაკენ — დღისით — 4 ს. „
ტყიბულისაკენ — დილის — 8 ს. 40 „
ხაშურისაკენ — დილით — 5 ს. 20 „

სუსუნატით (ოინოზრეა)
ავადმყოფებს

რომელთაც მრავალწლის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშვალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშვალებას **„რეზუროლინი“**. რომელიც სულ ცოტაბანში პირველ **ბაარგლებულ და ქრონიკულ სუსუნაც** საშრიც ბეშტისას, ჯაჭვისას და სხვ.

საშვალება ერთნაირათ ნაცადია როგორც ვეკებში ისე ქალებზედაც. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, დამტკიცა რომ

რეზუროლინი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენად ავადმყოფისა ღირს **35 მან. 50 კ.** ნახევარი კურსი 21 მანეთი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანათის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის სააფრამაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში.** Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.

ავთმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკრგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშვალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემხედვილი და ავთმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშვალებაა **გლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა**. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საკიმო პრეპარატისაგან. ბლენიოზოლის დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა სუსუნატებისა. ამ საშვალების მორჩენილი სნეულება ამ ჟამად ჩრონიკულ სუსუნატისა, ტყლინისა, ჯაგბისა და შრიის ბეშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **გლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაციილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სნეულება ჩამდგარი. **გლენიოზოლი** ახდენს შრიის ბეშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმუქვავეს. ტკივილებს, ფენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სნეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეჰყრიანი არიან ამ სენით, ვალდებულნი არიან იხმარონ **გლენიოზოლი**, როგორც ერთად ერთი საშვალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშვალების მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავთმყოფოებში გამოკვლეულია, რომ ბლენიოზოლი დასწყინშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შეღებებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავთმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრეპარატულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერნაძვილის საფთიაქო მაღაზიაში**, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისთვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგიის ინსპექტორმა ბ. ი. ნ. კოლეგოვმა ატყობინებენ: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გიხდით. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშვალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიხარული. სხვა დანარჩენი საშვალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან განათავისუფლეს. თქვენი უერდგულები **ი. ნ. კოლეგოვი.**
9 (წლისა).